

(სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ და შ.პ.ს. „თბილი სახლი“-ს შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებულ N32070202/03/80 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

NAT180004636

ქ.თბილისი

ივნისი, 2020 წელი.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის დავით ფარცვანიას სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „თბილი სახლი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით, მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლის, სააგენტოს დირექტორის მოადგილის საკურატოროს (სამშენებლო ინფრასტრუქტურის განვითარების დარგში) მიმდინარე წლის 24 ივნისის N510375 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს. „თბილი სახლი“ ახორციელებს ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის მშენებლობის სამუშაოებს საერთო ღირებულებით 4 272 794.87 ლარი, სასწავლო შენობის შიდა სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულა 2020 წლის 30 აპრილი, ხოლო შენობის გარე სამუშაოების დასასრულების ვადად 2020 წლის 31 მაისი.

სააგენტოს დირექტორის მოადგილის საკურატოროს (სამშენებლო ინფრასტრუქტურის განვითარების დარგში) მიმდინარე წლის 24 ივნისის N510375 სამსახურებრივი ბარათით დგინდება, რომ შ.პ.ს. „თბილი სახლი“-მ მიმდინარე წლის 24 მარტის N509509 წერილით სააგენტოს აცნობა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას გამოკვეთილი გარემოებების თაობაზე, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში საჭიროა ხელშეკრულებაში სათანადო კორექტირების შეტანა.

ობიექტის მშენებლობის პროცესში აღნიშნულმა გარემოებებმა გამოიწვია ხარჯთაღრიცხვის ზოგიერთი პუნქტების გაუქმება და ახალი პუნქტების დამატება. ასევე, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების დაზუსტებამ გამოიწვია მოცულობების როგორც მატება, ასევე კლება. კერძოდ: პოზ.#60 პროფნასტილის სახურავის ფერადი თუნუქის შეფენა - შემცირდა 97,0 კვ.მ-ით, პოზ.#90 მეტალოპლასტმასის ყრუ კარის მონტაჟი და ღირებულება - შემცირდა 7,60 კვ.მ-ით, პოზ.#95 ფანჯრის რაფის მოწყობა ხორითის მოსაპირკეთებელი ქვით სისქით 2სმ - შემცირდა 8,50 კვ.მ-ით, პოზ.#100 ცემენტის მოჭიმვის მოწყობა სისქით 40 მმ - შემცირდა 77,43 კვ.მ-ით, პოზ.#101 ცემენტის მოჭიმვის მოხეხვა - შემცირდა 77,43 კვ.მ-ით, პოზ.#115 120 სმ სიმაღლეზე ლამინატის გაკვრა კედელზე - 390,00 კვ.მ ამოღებულია ხარჯთაღრიცხვიდან, პროექტში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, პოზ.#129-1 ფასადის შეღებვა მაღალი ხარისხის ფასადის საღებავით - დაემატა 821,20 კვ.მ. პოზ.#130 ფასადის კედლების მოპირკეთება ფიბრობეტონის გლუვი ზედაპირის მქონე ბრტყელი ფორმის ფილებით სისქით 15 მმ - დაემატა 48,0 კვ.მ. პოზ.#137 გარე ხარაჩოების მოწყობა - დაემატა დაემატა 821,20 კვ.მ. თავი 2 „ შიგა წყალსადენ-კანალიზაცია“- დაემატა

ზოგიერთი პოზიცია, რაც ასახულია კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვაში, თავი 7 „გარე წყალსადენ-კანალიზაცია, სანიაღვრე კანალიზაცია“ - ზოგიერთ პოზიციაზე დაფიქსირდა მოცულობების როგორც მატება ასევე კლება, რაც ასახულია კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვაში. თავი 11 „ვერტიკალური დაგეგმარება და კეთილმოწყობა“- „გზების მოწყობა“-პოზ.#1- ქვიშა-ხრეშის საფუძვლის მოწყობა სისქით 20 სმ. - შემცირდა 93,6 კვ.მ-ით. თავი 11 „ვერტიკალური დაგეგმარება და კეთილმოწყობა“- „გზების მოწყობა“-პოზ.#2-3-4- - შემცირდა 468,0 კვ.მ-ით. თავი 11 „ვერტიკალური დაგეგმარება და კეთილმოწყობა“- „გზების მოწყობა“-პოზ.#5 ბეტონის ბორდიურების მოწყობა ზომით 15X30 სმ. M200 ბეტონის ფუძეზე - შემცირდა 385,0 გრძ-ით. თავი 13 „ ელ. მომარაგების გარე ქსელი“- ზოგიერთ პოზიციაზე დაფიქსირდა მოცულობების როგორც მატება ასევე კლება, რაც ასახულია კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვაში. თავი 14 „ ღობე“- ზოგიერთ პოზიციაზე დაფიქსირდა მოცულობების როგორც მატება ასევე კლება, რაც ასახულია კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვაში.

შენობაში დაემატა გიტრანტების მოწყობა, კიბის უჯრედის ბაქნების გახვრეტა, კედლების ნგრევა მილების მოსათავსებლად, მათი ლესვა და შეღებვა.

ამასთან, კორონავირუსის პანდემიისა და (COVID-19) და 21 მარტს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო ობიექტზე შეჩერებული იყო სამშენებლო სამუშაოები.

აღნიშნული საკითხები განიხილა სააგენტოს შესაბამისმა სამსახურმა და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების უცვლელად და შენობის შიდა და გარე სამუშაოების დასასრულებლად ვადის გაგრძელება 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით, საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე.

#### **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:**

1. მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის სამშენებლო-საპროექტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება დარჩეს უცვლელი.

2. მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის შიდა და გარე სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა გაიზარდოს მიმდინარე წლის 31 ივლისამდე, საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე.

3. მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.8. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1.8. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 795 (შვიდას ოთხმოცდათხუთმეტი) კალენდარულ დღეში, 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

4. მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულების ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.9. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1.9. წინამდებარე ხელშეკრულება ძალშია 2018 წლის 29 მაისიდან 2020 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით“.

5. მიმწოდებელი ვალდებულია 2020 წლის 10 ივლისამდე წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადად განსაზღვრული იქნება არანაკლებ 2020 წლის 29 ნოემბერი და საავანსო გადახდის საბანკო გარანტია (გარანტიები) რომლის მოქმედების ვადად განსაზღვრული იქნება არანაკლებ 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. გარანტიების წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებამოსილებას ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.5 პუნქტით დადგენილი პირობის შესაბამისად, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.

7. შეთანხმება შედგენილია სამი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ორი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო  
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“  
დირექტორი დავით ფარცვანია

(ხელმოწერა, ბეჭედი)



შ.პ.ს. „თბილი სახლი“  
დირექტორი  
მალხაზ კურტანიძე

(ხელმოწერა, ბეჭედი)